



„ქუთაისი თავისი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობით ყოველთვის იყო და არის მიმზიდველი ინოვაციური პროექტების განმხორციელებელთათვის. წარმატების მისაღწევად ნებისმიერი ბიზნესისათვის აუცილებელია სტაბილური და საიმედო გარემო, ჩვენი ქალაქი კი, თამამად შეიძლება ითქვას, ამის პლაცდარმია. ინვესტორი ფიქრობს, თუ რა კომფორტი ექნება მას ჩვენთან. ქუთაისი მზად არის გაიზიაროს მსოფლიოს წარმატებული მოდელების მაგალითები და ამით ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებას.“

გიორგი ჭიღვარია
ქუთაისის მერი

საკონტაქტო ინფორმაცია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია

გიორგი გიორგობიანი

ეკონომიკური განვითარების, თვითმმართველობის,
ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის უფროსი

ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 3

მობილური: +995 551 583158

ელ.ფოსტა: giorgi.giorgoiani@kutaishi.gov.ge

ვებ გვერდი: www.kutaishi.gov.ge

იმერეთის რეგიონული სავაჭრო-სამრეწველო პალატა

ემზარ ღვინიანიძე

ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზირი 124

ტელეფონი: +995 431 271400 / 271401

მობილური ტელეფონი: +995 577 445484 / 597 445484

ელ.ფოსტა: e.ghvinianidze@gcci.ge / kutaisirci@yahoo.com

აღნიშნული კატალოგი მომზადებულია საერთაშორისო ექსპერტის ირაკლი მატკავას მიერ აშშ-ის საერთაშორისო სააგენტოს (USAID) დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს USAID-ის, GGI-ის ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს.

რას გთავაზობთ ქუთაისი?

ინაპრობებს ბიზნესის განვითარებისათვის - დასავლეთ საქართველოს მთავარი ქალაქი წვდომით 900 000-ან ბაზარზე, დაბალი დანახარტებით ქონებასა და სამუშაო ძალაზე, მულტიმოდალური მუდმივად განვითარებადი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით.

ინფრასტრუქტურულ პროექტებს ბიზნესის განვითარებისათვის - მილიარდ ლარამდე იხარტება ქალაქის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციაზე, საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო სიმძლავრეების შექმნაზე და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაზე.

სივრცეს ბიზნესის განვითარებისათვის - ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ერთადერთი დიდი ქალაქია, რომელსაც აქვს დიდი სივრცე განვითარებისათვის. ეს კატალოგი წარმოგიდგენთ 2400 ჰექტარს, რომელზეც პარალელურად შეიძლება განვითარდეს მრეწველობა, ლოგისტიკა, მშენებლობა, მომსახურებების სექტორი და ტურიზმი.





I პიკოვაზი ბანჯითაკაბისათვის

მოსახლეობა, უკეთობი და მდებარეობა


ქუთაისი საქართველოს ფართობით მეორე და მოსახლეობით მესამე ქალაქია.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს უმნიშვნელოვანესი სატრანსპორტო კვანძია:

- აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული მაგისტრალი (დაშორება 3.5 კმ);
- რკინიგზა (უახლოესი სადგური 8 კმ-ში)
- საერთაშორისო აეროპორტი (18 კმ)
- ქუთაისი ასევე დაკავშირებულია ფოთის (103 კმ) და ბათუმის (139 კმ) პორტებთან.
- დაშორება თბილისიდან 230 კილომეტრია.

მოსახლეობა
141 000

ფართობი
70
კვადრატული
კილომეტრი



წვდომა დასავლეთ საქართველოს ბაზაზე

ქუთაისი ტრადიციულად დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური და სოციალური ცენტრია. დღეს ის ხდება ვაჭრობის, ლოგისტიკის, განათლებისა და ჯანდაცვის მომსახურებების ჰაბი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობისა და ბიზნესისათვის.


ამ და სხვა სფეროებში მოქმედ ბიზნესებს ქუთაისი აძლევს საშუალებას მიანოდონ მომხმარებლებსა და საქმიან პარტნიორებს დასავლეთ საქართველოში თავისი მომსახურება და პროდუქცია თბილისთან შედარებით 230 კილომეტრით უფრო ახლოს, შესაბამისად უფრო სწრაფად და მათთვის ნაკლები დანახარჯებით.

ქუთაისის როლი კიდევ უფრო გაიზრდება აქ შეთავაზებული მომსახურებისა და პროდუქტის მრავალფეროვნებისა და ხარისხის ზრდასთან ერთად.

ქუთაისი ტრადიციულად დასავლეთ საქართველოს არა მხოლოდ მომსახურებისა და ვაჭრობის, არამედ დასაქმების ცენტრიც იყო. ეს პოტენციალი ქალაქს დღესაც გააჩნია.

ბაზარზე და სამუშაო ძალაზე წვდომა ქუთაისიდან:

რეგიონი	მოსახლეობა (2018 წ.)
იმერეთი	507 000
<i>მათ შორის ქუთაისში</i>	140 000
გურია	110 000
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	30 000
სამეგრელო და ზემო სვანეთი	320 000
სულ	967 000



ღაბალი ღანახაკაჟები გიზნისისათვის

ქუთაისი ჯერ კიდევ დაბალი დანახარჯების ქალაქია თბილისთან და ბათუმთან შედარებით, რადგან მას ჯერ კიდევ საკმაოდ აქვს აუთვისებელი რესურსები მიწის და სხვა ქონების და ხელმისაწვდომი სამუშაო ძალის სახით.

დასაქმების ძირითადი მონაცემები ქუთაისში შემდეგნაირად გამოიყურება:

დაქირავებულები	21 936 (2017 წ.)
დასაქმებულები	25 034 (2017 წ.)
სამუშაო ხელფასი	756 ლარი (2018 წ.)

ელექტრო ენერჯია (ენერჯოკო ჯოჯია)

ძაბვა	კვ/თეთრი (დღგ-ს გარეშე)	კვ/თეთრი (დღგ-ს ჩათვლით)
35-110 კვ	12.593	14.86
6-10 კვ	13.772	16.251
0.4 კვ	17.867	21.083

წყალი (საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია)

მომსახურება	კუბური მეტრი/ლარი (დღგ-ს ჩათვლით)
წყალი	4, 307
წყალრინების სისტემის წყალი	1, 655

ბუნებრივი აირი

ბუნებრივი აირის მიწოდებას ახორციელებს სოკარ გაზ ჯორჯია, ტარიფი დერეგულირებულია.

ნაკრობა ქუთაისში

ქუთაისი კვლავ აქტიურია მრეწველობის მიმართულებით. როგორც ქუთაისის ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონის ტეროტიარიაზე, ასევე მათ ფარგლებს გარეთ ოპერირებენ, როგორც ექსპორტზე ასევე ადგილობრივ ბაზარზე ორიენტირებული საწარმოები.

დღეს ქუთაისში შემდეგი ტიპის პროდუქცია იწარმოება:

- ელექტროენერჯია;
- ელექტრო მოწყობილობები და ელექტრონული კომპონენტები;
- დეკორატიული და სამშენებლო ქვის დამუშავება (მარმარილო, ცარცი, გრანიტი და ა.შ.);
- გადამამუშავებული ხე-ტყე, ავეჯი;
- ლითონი და ლითონნაკეთობები, თუჯის სხმულები;
- პლასტმასი და მშენებლობაში გამოსაყენებელი პლასტმასის ნაკეთობები;
- ბეტონი, რკინაბეტონი და ბეტონის ასაწყობი კონსტრუქციები, საკედლე ბლოკები და სილიკატური აგური;
- საღებავები, ლაქები, ემალები და მათი მინერალური პიგმენტები;
- ქიმიური ნივთიერებები;
- საკვები პროდუქტები (პურფუნთუშეულის წარმოება, ხორბლის გადამამუშავება, ღვინო, სპირტიანი სასმელები, ლუდი, მინერალური და უალკოჰოლო სასმელები, ხორცი და ხორცპროდუქტები, საკონდიტრო, რძის პროდუქტები, მაკარონი, ჩაი);
- სუნელები და სანელებლები;
- ტყავი და ტყავის ნაწარმი (ფეხსაცმელი);
- ტექსტილი, ტრიკოტაჟი და ნაქსოვი ტილო, შალის ბოჭკო, ქსოვილები და საგალანტერიო ნაწარმი;
- სამკერვალო ნაწარმი.



გზიზგილი ქუთაისი

ქუთაისი განსაკუთრებით მდიდარია კულტურული და ისტორიული მემკვიდრეობით. ასევე ცნობილია თავისი გასტრონომიით და სტუმართმოყვარეობით. საქართველოში ტურიზმის განვითარებასთან ერთად ქუთაიშიც ტურიზმის სექტორი დინამიურად იზრდება.

ქუთაისის ტურიზმის პოტენციალი არ შემოიფარგლება საკუთარი შესაძლებლობებით. მეზობელ მუნიციპალიტეტებში 50-ზე მეტი ტურისტული (ისტორიული და სამკურნალო-რეკრეაციული) დანიშნულების ადგილია.

ამ პოტენციალის სრულად ასამოქმედებლად შეიქმნა დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (Destination Management Organization), რომლის ამოცანაც თანამედროვე ტურისტული პროდუქტებისა და მომსახურებების შექმნის და განვითარების ხელშეწყობაა.

ტურიზმის განვითარებას განსაკუთრებულად მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი. აეროპორტის მგზავრების რაოდენობა ყოველწლიურად მატულობს. 2018 წელს ის უკვე 617 342 მგზავრს მოემსახურა. ყოველწლიურად იზრდება რეგულარული ფრენების მიმართულებებიც.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის რეგულარული მიმართულებები


ათენი	რომი	მილანი	ვენა
ბარსელონა	მემინგენი	პრავა	ვილინუსი
ბუდაპეშტი	კატოვიცე	რიგა	ვარშავა
პარიზი	ლარნაკა	სალონიკი	ვროცლავი
დორტმუნდი	ლონდონი	ბერლინი	მოსკოვი



ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის ინსტრუმენტები

ქუთაისს აქვს როგორც საკუთარი მექანიზმები ბიზნესის განვითარებისათვის, როგორცაა თავისუფალი ინდუსტრიული ზონები, ასევე სარგებლობს იმ პროგრამებით და შესაძლებლობებით რომლებიც მთლიანად საქართველოშია ხელმისაწვდომი.

- მენარმეობის განვითარების სააგენტოს დაფინანსების და საგრანტო პროგრამები - www.enterprosegeorgia.gov.ge
 - o ინდუსტრიული მიმართულება
 - o სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების კომპონენტი
 - o საკრედიტო საგრანტო მექანიზმი
 - o მიკრო და მცირე ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა
- საპარტნიორო ფონდი - www.fund.ge
- თავისუფალი ინდუსტრიული ზონები
 - o Hualing Kutaisi Free Industrial Zone (36 ჰექტარი) www.hualing.ge
 - o Georgian International Holding Free Industrial Zone (27 ჰექტარი). www.gih.ge






II კოეჯები ბანკოთაქებისათვის

ქალაქის ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია

ქუთაისში ცხოვრების პირობების გაუმჯობესების და ბიზნესისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად მიმდინარეობს და დაგეგმილია რიგი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტებისა.

- წყალგაყვანილობის ქსელის სრული მოდერნიზაცია
 - წყალრინების ქსელის სრული მოდერნიზაცია
 - ძველი ნაგავსაყრელის დახურვა და ახალი თანამედროვე ნაგავსაყრელის აშენება. ქალაქში ნარჩენების მართვის სისტემის მოდერნიზაცია.
 - მუნიციპალური სატრანსპორტო პარკის განახლება
 - ქალაქის გზების მასშტაბური რეაბილიტაცია
- 

ქუთაისში გუკისგული ინჟინერების განვითარების პროექტი

მონაშეთის მონასტერთან ტურისტული ინფრასტრუქტურის მონაცემების სამუშაოები იწყება

დონორი - მსოფლიო ბანკი

ღირებულება - 1.3 მილიონი ლარი

დაწყება - 11/8/2018

დასრულება - 11/8/2019

პროექტი ითვალისწინებს გალავნის კედლების გამაგრებით სამუშაოებს. ასევე, ვიზიტორთა ცენტრის, ავტოსადგომის, საკომუნიკაციო სისტემის და საპირფარეშოების მშენებლობა-რეაბილიტაციას.

ქუთაისის ისტორიული უბნის (რიონის სანაპიროს მონაკვეთის) რეაბილიტაცია

პროექტის დონორი - ევროპის საინვესტიციო ბანკი

დაწყების სავარაუდო თარიღი - 2020 წ.

პროექტის ღირებულება - 25,000,000.00 აშშ დოლარი

ქუთაისის ისტორიული უბნის რეაბილიტაცია ითვალისწინებს რიონის სანაპიროზე განლაგებული, მე-19 საუკუნის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი დანიშნულების ნაგებობების რეაბილიტაციას. პროექტში, ასევე გათვალისწინებულია „ნითელი ხიდიდან“ „ჯაჭვის ხიდამდე“ მდინარე რიონის მხარეს საფეხმავლო ბილიკის მონაცემები, რომელიც დაუკავშირდება საცხოვრებელ და საზოგადოებრივ ობიექტებს.




საგანსპორტო ინჟინერინგის განვითარების პოპულაცია

საქართველოს მთავრობა ახორციელებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის პროექტებს, რომლებიც კიდევ უფრო გაზრდიან ქუთაისის, როგორც სატრანსპორტო-ლოგისტიკური და ტურისტული ცენტრის პოტენციალს. კერძოდ:

- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში ახალი ტერმინალის მშენებლობა;
- ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტში რკინიგზის ხაზის შეყვანა და სარკინიგზო სადგურის მშენებლობა;
- ქუთაისთან ახალი მულტიმოდალური ლოგისტიკური ცენტრის მშენებლობა.

ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის ახალი ტერმინალი და რკინიგზის სადგური აეროპორტში მნიშვნელოვანად გაზრდის მგზავრების ნაკადს. შემდგომი რამდენიმე წლის განმავლობაში აღმოსავლეთ დასავლეთის ავტობანის დასრულება და ქუთაისის მულტიმოდალური ლოგისტიკური ჰაბის შექმნა, საერთაშორისო აეროპორტთან და სხვა უკვე არსებულ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან ერთად ქუთაისს საბოლოოდ ჩამოაყალიბებს დასავლეთ საქართველოს მთავარ ლოგისტიკურ ცენტრად და ეს სექტორები და ამ სფეროში მომუშავე ბიზნესიც ქუთაისში სწრაფად და შეუქცევადად გაიზრდება.




ღენჯიხი-მესტიის დამაკავშირებელი გზა

ტურისტების რაოდენობა სვანეთში მუდმივად იზრდება და შესაბამისად ვითარდება ტურისტული ინფრასტრუქტურაც. ერთადერთი დამაბრკოლებელი ფაქტორი სვანეთადმე მგზავრობისთვის საჭირო დიდი დროა. ღენჯიხი-მესტიის დამაკავშირებელი გზა დააკავშირებს ქუთაისს სვანეთთან ახალი გზით. ქუთაისიდან მესტიაში ჩასვლა ამ მოკლე გზით 2 საათსა და 30 წუთში იქნება შესაძლებელი. ეს ქუთაისის ტურიზმის სექტორში მომუშავე ბიზნესისათვის სრულიად ახალ შესაძლებლობებს გააჩენს.

ბაღდათი-აბასთუმანის დამაკავშირებელი გზა

ბაღდათი-აბასთუმნის გზა დააკავშირებს დასავლეთ და სამხრეთ საქართველოს და გააჩენს სრულიად ახალი სამგზავრო და ტურისტული მარშრუტების გახსნის და ამ გზის გასწვრივ არსებული ეკონომიკური შესაძლებლობების სრულფასოვნად ამოქმედების შესაძლებლობას. ამ შესაძლებლობების გამოყენების საწყისი წერტილი კი ასევე, ქუთაისი იქნება.




III სივრცე განვითარებისათვის

1. თავისუფალი ინდუსტრიული ზონის მიმდებარე ზედაპირი

- მდებარეობა: ქალაქის დასავლეთ ნაწილი. ესაზღვრება ქუთაისი-ხონის, ქუთაისი-წყალტუბო-ცაგერის საავტომობილო მაგისტრალები და ქუთაისი-წყალტუბოს სარკინიგზო ხაზი. ობიექტი მდებარეობს საშუალო სიმჭიდროვით დასახლებულ ტერიტორიასთან
 - ფართობი: 2 681 733 კვ.მ
- მათ შორის:
- 960 523 კვ.მ სახელმწიფო საკუთრება
 - 38 302 კვ.მ მუნიციპალური საკუთრება
 - 1 460 553 კვ.მ კერძო საკუთრება
- რელიეფი - ვაკე
 - ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზა, რკინიგზა.

განვითარების პოტენციური
მიმართულებები:

- სასაწყობო მეურნეობა
- სამეწარმეო ზონა




2. ყოფილი აეკოპოკგის ზაქიგოკია

- მდებარეობა: ქალაქის დასავლეთ ნაწილი. ჩრდილოეთით ესაზღვრება ქუთაისი- ხონის საავტომობილო მაგისტრალი, სამხრეთით - აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელი ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალი. მდებარეობს საშუალო სიმჭიდროვით დასახლებულ ტერიტორიასთან
- ფართობი: 3 336 745 კვ.მ.
- მესაკუთრეები:
 - 3 090 514 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
 - 92 502 კვ.მ. მუნიციპალური საკუთრება.
 - 72 080 კვ.მ. კერძო საკუთრება.
- რელიეფი: ვაკე.
- ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზა, რკინიგზა.
- მიმდებარედ ფუნქციონირებს თავისუფალი ინდუსტრიული ზონა.

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- სასაწყობე მეურნეობა
- სამეწარმეო ზონა
- ტურისტულ-გასართობი ზონა
- საცხოვრებელი ზონა




3. პაკლაშენჯის მიმდებარე გაიგზოკია

- მდებარეობა: ქალაქის დასავლეთ ნაწილი. ჩრდილოეთით ესაზღვრება ქუთაისი-წყალტუბო-მესტიის და სამხრეთით ქუთაისი-ხონის დამაკავშირებელი საავტომობილო მაგისტრალეები. მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე.
- ფართობი: 1 401 326 კვ.მ.
- მესაკუთრეები:
 - 1 233 416 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
 - 28 009 კვ.მ. მუნიციპალური საკუთრება .
 - 20 122 კვ.მ. კერძო საკუთრება.
- რელიეფი: ვაკე.
- ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზა, რკინიგზა.

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- სამეცნიერო ზონა
- ტურისტულ-გასართობი ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- სამედიცინო ზონა




4. ახალი საკაპეატიო ზონა

- მდებარეობა: ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილი. მდებარეობს წყალტუბო-ქუთაისის სასაზღვრო ზოლში, საიდანაც უმოკლესი საფეხმავლო გზით უკავშირდება სათაფლიის ნაკრძალს. ეკოლოგიურად სუფთა გარემო. მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე.
- ფართობი: 15 618 694 კვ.მ.
- რელიეფი: შერეული

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- ტურისტულ-გასართობი ზონა (მათ შორის, ეკო-ტურიზმი, საფეხმავლო და ექსტრემალური ტურიზმი).




5. აიონის წყალსაცავის მიმდებარე რაიონი

- მდებარეობა: ქალაქის უკიდურესი ჩრდილოეთ ნაწილი. განთავსებულია მდინარე რიონის კალაპოტში. დასავლეთით მიუყვება ქუთაისი ონის საავტომობილო გზა. მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე, გემათჰესის სამხრეთით.
- ფართობი: 2 255 309 კვ.მ., მათ შორის, 588 633 კვ.მ. მდ. რიონი.
- მესაკუთრეები:
 - 764 809 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება
 - 21 010 კვ.მ. მუნიციპალური საკუთრება
 - 105 972 კვ.მ. კერძო საკუთრება
- რელიეფი: შერეული.

განვითარების პოტენციური
მიმართულებები:

- ტურისტულ-გასართობი ზონა (ეკო-ტურიზმი, საფეხმავლო, სანაოსნო).
- ბუნებრივი რესურსების (ქვადორლის) მოპოვება.



6. კიონის წყალსაცავის სანაპირო ზოლი

- მდებარეობა: ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილი. შუა ნაწილში გაედინება მდინარე რიონი. მარცხენა მხარეს მიუყვება ქუთაისი-ონის საავტომობილო გზა. ეკოლოგიურად სუფთა გარემო. მდებარეობს ნაკლებად დასახლებულ ტერიტორიაზე.
- ფართობი: 58 646 კვ.მ., მათ შორის: 36 900 კვ.მ. მდ. რიონი.
- მესაკუთრეები: 3 915 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
- რელიეფი: შერეული.

განვითარების პოტენციური მიმართლებები:

- ტურისტულ-გასართობი ზონა (ეკო-ტურიზმი, საფეხმავლო, ექსტრემალური).
- სასტუმროები, ტურისტული ინფრასტრუქტურა.



7. გოჭანიკუკი ბაღის მიმდებარე განიგონიკი

- მდებარეობა: ქალაქის ჩრდილოეთ ნაწილი. მარჯვენა მხარეს მიედინება მდინარე რიონი. მარცხენა მხარეს მიუყვება ქუთაისი-ონის საავტომობილო გზა. ეკოლოგიურად სუფთა გარემო. მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე.
- ფართობი: 122 450 კვ.მ.
- მესაკუთრეები:
 - 5 496 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
 - 94 306 კვ.მ. მუნიციპალური საკუთრება.
 - 5 171 კვ.მ. კერძო საკუთრება.
- რელიეფი: ვაკე

განვითარების პოტენციური
მიმართულებები:

- ტურისტულ-გასართობი ზონა (ეკო-ტურიზმი, საფეხმავლო, სანაოსნო).
- ბუნებრივი რესურსების (ქვადორღის) მოპოვება.
- საცხოვრებელი ზონა.



8. ყოფილი სიხის გაკიფოკია

- მდებარეობა: ქალაქის ცენტრალური ისტორიული უბანი. მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე. ისტორიული შენობა.
- ფართობი: 9 196 კვ.მ.
- მესაკუთრეები: 9 196 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
- რელიეფი: ვაკე

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- ტურისტული ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- მსუბუქი მრეწველობა
- სასტუმრო ზონა
- სამედიცინო ზონა



9. ყოფილი სამხეკო ნაწილის გაიჯოგოკია

- მდებარეობა: ქალაქის ცენტრალური ისტორიული უბანი. მდებარეობს მჭიდროდ დასახლებულ გამწვანებულ ტერიტორიაზე.
- ფართობი: 13 524 კვ.მ.
- რელიეფი: ვაკე.

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- ტურისტული ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- მსუბუქი მრეწველობა
- სასტუმრო ზონა
- სამედიცინო ზონა




10. მდინაჲე კიონის მაკცხენა სენაკიკო

- მდებარეობა: ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილი. მდებარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან. მარცხენა მხარეს მიუყვება მდინარე რიონი. მდებარეობს ნაკლებად დასახლებულ არეალში.
- ფართობი: 784 482 კვ.მ.
- მესაკუთრეები:
 - 414 976 კვ.მ სახელმწიფო საკუთრება.
 - 31 820 კვ.მ მუნიციპალური საკუთრება.
 - 4 446 კვ.მ კერძო საკუთრება.
- რელიეფი: ნახევრად ვაკე
- ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზა, რკინიგზა.

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- საწარმოო ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- ტურისტული ზონა
- სასაწყობე მეურნეობა
- სამედიცინო ზონა



11. მდინაჲა კიონის ბაკჲენა სანაკიკო

- მდებარეობა: ქალაქის სამხრეთ ნაწილი. მდებარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან. მარჯვენა მხარეს მიუყვება მდინარე რიონი. მდებარეობს ნაკლებად დასახლებულ არეალში.
 - ფართობი: 858 240 კვ.მ.
- მათ შორის:
- 18 396 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
 - 274 653 კვ.მ. მუნიციპალური საკუთრება.
 - 18 396 კვ.მ. კერძო საკუთრება.
- რელიეფი: ვაკე.

განვითარების პოტენციური მიმართლებები:

- სასაწყობე მეურნეობა
- სამეწარმეო ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- ტურისტული ზონა
- სამედიცინო ზონა




12. ყოფილი საგაქვორო ქახნის გაიგორკია

- მდებარეობა: ქალაქის უკიდურესი აღმოსავლეთ ნაწილი. მდებარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან. მდებარეობს საშუალო სიმჭიდროვით დასახლებულ ტერიტორიასთან.
- ფართობი: 376 465 კვ.მ.
- მესაკუთრეები:
 - 29 588 კვ.მ სახელმწიფო საკუთრება
 - 41 598 კვ.მ მუნიციპალური საკუთრება
 - 146 365 კვ.მ კერძო საკუთრება
- რელიეფი: ვაკე.
- ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზა.

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- სასაწყობე მეურნეობა
- სამეწარმეო ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- ტურისტული ზონა
- სამედიცინო ზონა



13. ყოფილი ელექტრო მექანიკური ქაახნის გაკიფოკია

- მდებარეობა: ქალაქის ცენტრალური ნაწილი. მდებარეობს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს დამაკავშირებელ ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალთან. მდებარეობს დაუსახლებელ ტერიტორიაზე.
- ფართობი: 375 731 კვ.მ.
- მესაკუთრეები:
 - 174 655 კვ.მ. სახელმწიფო საკუთრება.
 - 948 კვ.მ. მუნიციპალური საკუთრება.
 - 166 352 კვ.მ. კერძო საკუთრება.
- რელიეფი: ვაკე.
- ინფრასტრუქტურა: საავტომობილო გზა, რკინიგზა.

განვითარების პოტენციური მიმართულებები:

- სასაწყობე მეურნეობა
- სამეწარმეო ზონა
- საცხოვრებელი ზონა
- ტურისტული ზონა
- სამედიცინო ზონა

